Open Government Partnership

2015 წლიდან დღემდე ღია მმართველობა პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს პარლამენტს დამტკიცებული აქვს

3 სამოქმედო გეგმა

2015-2016, 2017 და 2018-2019 წლების გეგმები

პირველი ორი სამოქმედო გეგმა **მოიცავდა 33 ვალდებულებას,** რომელთაგან 23 სრულად, ხოლო 7 ნაწილობრივ შესრულდა

მიღწევები ღიაობის მიმართულებით

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები, რომლის შედეგად მოქალაქეებს შეეძლებათ პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე ელექტრონული პეტიციის გაგზავნა.

საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა პარლამენტის თბილისის შენობის ადაპტირების გეგმა, რომლის შესრულება შშმ პირებს გაუმარტივებს პარლამენტის ტერიტორიაზე გადაადგილებას.

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც იგი ვალდებულია ყოველწლიურად მოამზადოს და გამოაქვეყნოს საკუთარი საქმიანობის ანგარიში.

პარლამენტის კომიტეტებს ექნებათ ვალდებულება, განიხილონ პარლამენტის ვებგვერდზე კანონპროექტთან დაკავშირებით მოქალაქეთა კომენტარები და შენიშვნები და საჭიროების შემთხვევაში ასახონ ისინი კომიტეტის დასკვნაში.

პარლამენტის ვებგვერდზე კანონპროექტის განხილვისას პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებები ხილვად ფორმატში ქვეყნდება, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას ნახოს, თუ რა ეტაპები გაიარა ტექსტმა პირველიდან მესამე მოსმენამდე.

2018 წლიდან, პარლამენტის ვებგვერდზე ქვეყნდება პლენარული სხდომების აუდიო ოქმები.

შესრულების პროცესშია

საქართველოს პარლამენტი განიხილავს „ეთიკის კოდექსის“ პროექტს, რომელიც პარლამენტის წევრის სტატუსიდან გამომდინარე, დეპუტატის ქცევას ადგენს და წესებს განსაზღვრავს, რაც მან თავისი საქმიანობისას, ასევე კოლეგებთან, თანამშრომლებთან, მედიასთან, სხვა ინსტიტუტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისას უნდა გაითვალისწინოს.

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საკანონმდებლო ცვლილებას, რომელიც ითვალისწინებს განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის დახვეწას. აღნიშნული ცვლილებებით, განმარტებით ბარათში ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ უფრო ხელმისაწვდომი და სრულყოფილი გახდება.

შემუშავებულია საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის ახალი კონცეფცია, რომელიც მოიცავს ელექტრონული პეტიციების წარდგენის პლატფორმას და უკუკავშირის მექანიზმების დანერგვას.